



**ხელოვნური ინტელექტი პარტიულ პოლიტიკაში: დანიის სინთეტიკური პარტიის შემთხვევა**

**არსენ სებისკვერაძე  
ლუკა დანელია**

**პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

E-mail: [arsen.sebiskveradze978@sps.tsu.edu.ge](mailto:arsen.sebiskveradze978@sps.tsu.edu.ge)

E-mail : [luka.danelia006@sps.tsu.edu.ge](mailto:luka.danelia006@sps.tsu.edu.ge)

## აბსტრაქტი

თანადროულ ეპოქაში ხელოვნური ინტელექტით დაინტერესება მხოლოდ და მხოლოდ მზარდია. მას ვაწყდებით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, გამონაკლისი არც პოლიტიკური სარბიელია. AI - ის გავლენა შეგვიძლია დავინახვოთ სახელმწიფო და ინდივიდუალური უსაფრთხოების ასპექტსა თუ მმართველობის მექანიზმებში. მისი გამოყენება იმდენად ინტენსიური გახდა, რომ უკიდურესად ეფექტის აღსანიშნავად აკადემიურ წრეებში დამკვიდრდა ტერმინი “Pax Technica”, რომელიც მიანიშნებს სრულიად ახალ, ტექნოლოგიურ, ერაზე (Howard, 2015).

საგულისხმოა, რომ ხელოვნური ინტელექტი მრავალმხრივ გამოყენებადი ინსტრუმენტია, მას პოლიტიკური სუბიექტები გადანაცვტილებების მიღების პროცესში აქტიურად დაიხმარენ. კერძოდ, AI-ის სისტემებს როგორცაა, მაგალითად, მანქანათმცოდნეობის ალგორითმები შეუძლიათ დიდი რაოდენობით მონაცემების დამუშავება და იდეების იდენტიფიცირება, რაც შემდგომში არის გარანტი ინფორმირებული გადანაცვტილებების მიღებისა. მეტიც, ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია, უზადო დახმარება გაუწიოს პოლიტიკის შემქმნელებს რთული და კომპლექსური საკითხების ანალიზში, შედეგების პროგნოზირებასა თუ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის ჩამოყალიბებაში (Carley, 2020). ამას გარდა, ხელოვნური ინტელექტის კიდევ ერთ ღირსებად პოლიტიკური კამპანიების დაგეგმარება უნდა მივიჩნიოთ. მისი გამოყენებით შესაძლებელია მონაცემთა დიდი ნაკრების ანალიზი და ამ გზით მიზნობრივი ჯგუფების იდენტიფიცირება, ამომრჩევლის ქცევის პროგნოზირება და კამპანიის შეტყობინებების პერსონალიზირება.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვარწმუნებს ხელოვნური ინტელექტის რევოლუციურ მნიშვნელობაზე პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებში, რომლის გამოყენების მასშტაბიც, აღსანიშნავია რომ, სცილდება ერთ რომელიმე ერსა თუ სახელმწიფოს და იღებს გლობალურ სახეს. ჩვენი კვლევის მიზანიც პარტიული პოლიტიკის წარმოებისას, სწორედაც რომ, ხელოვნური ინტელექტის კარდინალური როლის წარმოჩენა და კრიტიკული ანალიზია, რისთვისაც ჩამოვაყალიბეთ საკვლევი კითხვები. ამასთან, თეორიულ ჩარჩოდ შევარჩიეთ ტექნოლოგიური დეტერმინიზმი, რომელიც სრულყოფილად წარმოგვიდგენს შესაძლო დადებით და უარყოფით კორელაციურ კავშირს ჩვენ მიერ შერჩეული კვლევის საგანსა და ობიექტებს შორის. დაზვერვითი კვლევის ეტაპზე გავეცანით საკითხის ირგვლივ არსებულ აკადემიურ ლიტერატურას, რომელთა კრიტიკული ანალიზის საშუალებითაც წარმოვადგინეთ განსხვავებული პერსპექტივები. კვლევის მეთოდებად სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, სახელდობრ სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ და შემთხვევის ანალიზი. წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარდა ვირტუალური სიღრმისეული ინტერვიუ დანიური პარტიის (The Synthetic Party) დამფუძნებელთან და ლიდერთან, ასკერ ბრილდ სტაუნისთან. მოპოვებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა თემატური და სტრუქტურული კონტენტ-ანალიზით. გამოვლინდა ის მიგნებები, რომლებიც დამახასიათებელია საკუთრივ დანიური მოდელისთვის, რომლის საფუძველზეც მეტწილად გამოიკვეთა საერთო ტენდენციები და საფრთხეები, ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, წარმოვადგინეთ საერთო, ზოგად პრიზმაში.

**საკვანძო სიტყვები:** ხელოვნური ინტელექტი, ტექნოფობია, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკა, დანიის სინთეტიკური პარტია.

## შესავალი

ხელოვნური ინტელექტის ისტორია ანტიკური ხანიდან იწყება მითებით, რომლებიც მოგვითხრობენ ხელოვნური არსებების შესახებ, რომლებსაც ცნობიერება მათმა შემქმნელმა ოსტატებმა მიანიჭეს (Shashkevich, 2019), ხოლო თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის ისტორია ფილოსოფოსებს უკავშირდებათ, რომლებმაც აღწერეს ადამიანის აზროვნების პროცესი და დაასკვნეს, რომ მისი იმიტირება სიმბოლოების მექანიკური მანიპულირებით არის შესაძლებელი. ხელოვნური ცნობიერის შექმნის კულმინაციური მომენტი 1940-იან წლებში დადგა, როდესაც შეიქმნა ციფრული გამომთვლელი მანქანა - კომპიუტერი, რომელიც დაფუძნებულია მათემატიკური მსჯელობის აბსტრაქტულ არსზე (Swaine, Freiburger, 2023). აღნიშნულმა მოწყობილობამ შთააგონა მეცნიერები, დაეწყათ სერიოზული მსჯელობა ხელოვნური ინტელექტის შექმნის შესაძლებლობაზე.

ხელოვნური ინტელექტი მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის საკვანძო შემადგენელია, რომელმაც მოიტანა უპრეცედენტო ტექნოლოგიური ცვლილებები. ინდუსტრიული რევოლუციის ეს ეტაპი წინარე რევოლუციებისგან განსხვავებით, ხასიათდება ექსპონენციალური სიჩქარით, მასშტაბის გლობალურობითა და სისტემური გავლენით, რაც მეტწილად განაპირობა ხელოვნური ინტელექტის განვითარების დონემ (Schwab, 2016). ბოლო წლების შთამბეჭდავი პროგრესი AI-ის განვითარების მიმართულებით გამოიხატება იმაში, რომ სულ უფრო ხშირად ვხვდებით თვითმართვად მანქანებს, ვირტუალურ ასისტენტებს, ახალი მედიკამენტების აღმოსაჩენად შექმნილ ალგორითმებს, რობოტ ხელსაწყოებს და ა.შ. ცალსახაა, რომ ამ ტექნოლოგიის თანდათანობითმა ევოლუციამ ჩვენს დროში ხელი შეუწყო საზოგადოების განვითარებას. დღესდღეობით, ხელოვნური ინტელექტის როლი ყველა სფეროში მზარდია და გამონაკლისი არც პოლიტიკაა. იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები საკმაოდ ფართოა, მის გამოყენებას პოლიტიკურ პროცესებში რეალური პერსპექტივა აქვს.

## ლიტერატურის მიმოხილვა

ხელოვნური ინტელექტი არის ტექნოლოგია, რომელსაც ზოგიერთი ანალიტიკოსი ადარებს ძრავას ან ელექტროენერგიას, გამოგონებებს რომლებმაც გამოიწვიეს რადიკალური ცვლილებები, ხოლო ამ ცვლილებების იგნორირება ვერც ერთმა ცალკეულმა ქვეყანამ ვერ შეძლო. ტექნოფობია უკანასკნელი საუკუნეების დამახასიათებელი ტენდენციაა. ინდუსტრიული რევოლუციის დაწყებიდან მოყოლებული საზოგადოებებში ტექნოლოგიებისადმი ენთუზიაზმი და ტექნოფობია ერთმანეთს

ერწყმის. მიზები ყოველთვის სხვადასხვაა, გამონაკლისი არც ხელოვნური ინტელექტია, თუმცა ამ უკანსკნელთან მიმართებით მეტად ეგზისტენციალური შიშები არსებობს (Brosnan, 1998).

ინოვაციის მიუღებლობა და არსებული „მოდუს ვივენდის“ შენარჩუნების ტრადიციული სურვილი არის ის, რაც მარადიულ მახასიათებლად გასდევს კაცთა მოდგმას. ნიშანდობლივია, რომ ეს უკანასკნელი შესამჩნევი ხდება ტექნოლოგიასთან ბრძოლის კონტექსტშიც. მაგალითისთვის, ჯეროვანი იქნება, თუკი გავიხსენებთ ლუდიტების ისტორიას XIX საუკუნის ინგლისში. ეს არის დახურული საზოგადოების ის კატეგორია, რომლის მოქმედებებიც მიმართულია „უნივერსალური მაქსიმას“ შენარჩუნებისკენ. საყურადღებოა, რომ ლუდიტთა საპროტესტო ტალღის წამყვანი იდეა წარმოების იმ მექანიზმის უკავშირდებოდა, რომლის დამკვიდრებაც ინგლისელ მუშათა ფენას სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირებას უქადდა. ეს კი იქცა მიზებად ლუდიტებისთვის, რომ ფიზიკური იერიში მიეტანათ მანქანურ ტექნოლოგიებზე (Jones, 2006).

სტატიაში “Artificial Intelligence, Authoritarianism and the Future of Political Systems” ავტორი ხელოვნური ინტელექტის განვითარებისა და მისი პოლიტიკურ პროცესებში ინტენსიური გამოყენების ფონზე პოტენციურ საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას. უნვერის აზრით, ალგორითმული სტრუქტურების დანერგვა პოლიტიკურ პროცესებში წარმოშობს ლეგიტიმურობის პრობლემას. ის სვამს კითხვებს: მას შემდეგ, რაც ამოქმედდება გადანყვეტილების მიღების ალგორითმული სისტემები და დაიწყება პოლიტიკური გადანყვეტილებების მიღება, რა მოიაზრება ამ პროცესში ლეგიტიმაციის მთავარ წყაროდ? იქნება თუ არა მოქალაქეების ხმას რაიმე გავლენა ალგორითმზე? მისი აზრით, ასეთ დროს ადამიანები იზოლირებულნი იქნებიან პოლიტიკური გადანყვეტილების მიღების ძირითადი პროცესებისგან და გაუცხოების მდგომარეობაში გადავლენ (Unver, 2018). უნვერის შემფოთება საფუძვლიანია, თუმცა მას განსხვავებულად წარმოუდგენია ხელოვნური ინტელექტისგან ინსპირირებული გადანყვეტილების განხორციელების პროცესი. მაგალითად, დანიის სინთეტიკური პარტიის ამომრჩეველებს შეუძლიათ პარტიის AI-ს ესაუბრონ პლატფორმა Discord-ზე, რის შედეგადაც ხელოვნური ინტელექტი მოაგროვებს მონაცემებს, რომელიც მოიცავს მათ შეხედულებებს, იდეებს, პერსპექტივებს სხვადასხვა საკითხების შესახებ, შედეგად AI მიიღებს ისეთ პოლიტიკურ გადანყვეტილებებს, რომლებიც სრულად ეფუძნება ამომრჩეველების ინტერესებს, ხოლო ამ გადანყვეტილებებს პარტიის ადამიანი წევრები აღასრულებენ. შესაბამისად, ამომრჩეველები არა თუ იზოლირებულნი იქნებიან გადანყვეტილებების მიღების პროცესისგან, არამედ პირიქით, უფრო მეტად ჩართულნი იქნებიან პროცესში, ვიდრე აქამდე. ნებისმიერ შემთხვევაში, ტექნოსკეპტიკოსები შიშობენ, რომ ადამიანური შესაძლებლობები შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი ხელოვნური ინტელექტისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

ნაშრომში „Getting AI Right: Introductory Notes on AI & Society“ ავტორი აუღერებს მოსაზრებას, რომ ხელოვნური ინტელექტის მიმართ მიმდინარე მიდგომების წარმატების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს კონსეპტუალურად რთული პრობლემები. ისეთები როგორებიცაა, მაგალითად, როდესაც

ხელოვნური ინტელექტი არ მუშაობს ისე, როგორც ეს იყო დაგეგმილი, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს უსაფრთხოების საკითხს, რაც ჯამში იძლევა მიკერძოებულ ან ტოქსიკურ შედეგებს, ხოლო ყოველივე ეს გამოიხატება კონფიდენციალურობის დარღვევაში, ცრუ ინფორმაციის შექმნასა და გავრცელებაში, დამუშავებულ მონაცემებზე ახსნა-განმარტების ნაკლოვანებაში და ა.შ. მანიკას აზრით, ამ ყველაფერმა შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოებაში ნდობის დაკარგვა, ის ფიქრობს, რომ აღნიშნულმა ხარვეზებმა სამართლიანად მიიპყრო ფართო მასებისა და მარეგულირებელი ორგანოების, ასევე მკვლევრების ყურადღება (Manyika, 2022).

ხელოვნური ინტელექტის განვითარების თანმდევ ხარვეზებთან ერთად საგულისხმოა მისი ეფექტური გამოყენების შედეგად გამოწვეული საფრთხეებიც. ამ ტექნოლოგიის ფართო პოტენციალი ზრდის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაკეთილსინდისიერი გამოყენების შესაძლებლობას. ოლივია შენი სტატიაში "AI Dreams and Authoritarian Nightmares - The China Story" წერს, რომ ჩინეთის ხელისუფლებისთვის ხელოვნური ინტელექტი არის ზუსტი სამეცნიერო ინსტრუმენტი საზოგადოების მართვისთვის. AI-ს აქვს ცალკეული ინოვაციური ტექნოლოგიები სოციალური კონტროლისთვის, როგორებიცაა: სახის ამოცნობა, ბუნებრივი ენის დამუშავება, გენეტიკური პროფილირება და ა.შ. ყოველივე აღნიშნული საშუალებას აძლევს ჩინეთის მთავრობას მისთვის სასურველი გზით წარმართოს პოლიტიკური პროცესები და აკონტროლოს ადამიანთა ნება (Shen, 2020). მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის ენთუზიასტები აქტიურად საუბრობენ იმაზე, თუ როგორ გარდაქმნის ეს ტექნოლოგია უკეთესობისკენ ყველა სფეროს, სხვები შემფოთებულნი არიან ხელოვნური ინტელექტის პოტენციალით, რამეთუ ფიქრობენ რომ მას ძალუძს შეარყიოს დემოკრატია.

არსებული პრობლემები სულ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ ხელოვნური ინტელექტიდან მაქსიმალური სარგებლის მისაღებად საჭიროა გარკვეული რეგულაციების დანერგვა. ცხადია, რომ ხელოვნური ინტელექტის, როგორც პერსპექტიული ტექნოლოგიის, დახვეწას თან სდევს საფრთხეები, თუმცა ამ საფრთხეებისგან თავის დაცვა შეუძლებელია მისი აკრძალვით ან განვითარების შეზღუდვით.

განსხვავებულ პერსპექტივას ავითარებს Langdon Winner (1986) წიგნში - "Autonomous Technology: Technics-out-of-Control as a Theme in Political Thought". წარმოდგენილ ნაშრომში ვინერი იკვლევს ავტონომიური ტექნოლოგიის შედეგებსა და მის გავლენას საზოგადოებაზე. მართალია, ეს უკანასკნელი სამ ათეულ წელზე მეტი ხნისაა, მაგრამ მასში წამოჭრილი ცენტრალური არგუმენტები და შეხედულებები კვლავაც აქტუალურად რჩება. ვინერი ამტკიცებს, რომ, როგორც კი ტექნოლოგია უფრო მეტად დამოუკიდებელი, თვითკმარი და ძლიერი გახდება, ის დაიწყებს ადამიანთა ქცევისა და ღირებულებების ფორმირებას, სამომავლო პერსპექტივაში კი ავტორი გამოთქვამს მეტად უფრო დამაფიქრებელ ვარაუდს, რომლის მიხედვითაც, ხელოვნური ინტელექტი ადამიანის ჩამნაცვლებელადაც გვევლინება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც

ნიშანდობლივია, რომ იკვეთება სწორედაც სინთეტიკური პარტიის შემთხვევაში. თუმცა, ყოველივე დადებითთან ერთად, ვინერი გამოთქვამს შემოთვალისწინებს, რომ შესაძლოა ტექნოლოგიურმა სისტემებმა გამოიწვიოს რა ძალაუფლების კონცენტრაცია ცალკეულ ადამიანთა ჯგუფებში, ეს კი მას ანგარიშვალდებულებისთვის, დემოკრატიისა და სოციალური სამართლიანობისთვის უმნიშვნელოვანეს საფრთხედ ესახება.

წარმოდგენილი ლიტერატურა გამოკვეთს და აჯამებს აკადემიურ წრეებში არსებულ პერსპექტივებს ჩვენი საკვლევი საკითხის ირგვლივ, რომელთა მიხედვითაც, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, თუ რაოდენ კომპლექსური და არაერთმნიშვნელოვანი როლი აქვს ხელოვნურ ინტელექტს, როგორც დამხმარე ინსტრუმენტს, პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებში.

### კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანია, გამოკვეთოს ხელოვნური ინტელექტის როლი პოლიტიკის შექმნაში, სახელდობრ კი პარტიული პოლიტიკის წარმოებისას. განიხილოს კონკრეტული მაგალითები, რომელთა საფუძველზეც წარმოდგენილი იქნება AI-ის თანმდევი დადებითი და უარყოფითი შედეგები. შესაბამისად, კვლევის კითხვებიც შემდგენიერად ჩამოყალიბდა:

- როგორია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პარტიული პოლიტიკის დაგეგმარებისა თუ იმპლემენტაციის ეტაპზე?
- რა მოტივით/მიზნით ხსნიან პარტიები AI-ის ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში და როგორ ესახებათ მისი განვითარება სამომავლო პერსპექტივაში?
- როგორ უყურებს საკუთრივ საზოგადოება (ჩვენს შემთხვევაში დანიელი საზოგადოება) ხელოვნური ინტელექტის როლს პოლიტიკაში?
- და ბოლოს, რა არის ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოვჩნდეთ?

პარტიულ პოლიტიკაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესასწავლად, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია შესაბამისი პირველადი თუ მეორეული წყაროების კრიტიკული ანალიზი. შესაბამისად, კვლევის ძირითადი ხაზი აგებულია სოციოლოგიური კვლევის თვისებრივ მეთოდებზე დაყრდნობით, საკუთრივ გამოყენებულია შემთხვევის ანალიზი და სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ. დაზვერვითი კვლევის ეტაპზე შემთხვევის ანალიზის საშუალებით სიღრმისეულად და ემპირიულად შევისწავლეთ წარმოდგენილი საკითხი. ამასთან, ჩატარდა სტრუქტურირებული ინტერვიუ დანიური პოლიტიკური სუბიექტის, კერძოდ სინთეტიკური პარტიის, დამფუძნებელსა და ლიდერთან, რომლის საფუძველზეც იქნა გაანალიზებული საკვლევი კითხვის პასუხები. აღნიშნული ინტერვიუ მიზნად ისახავდა დანიურ შემთხვევაზე დაყრდნობით ხელოვნური ინტელექტის როლის გაანალიზებასა და ძირითადი მიგნებების გამოკვეთას.

კვლევითი ნაშრომი წარმოდგენილია ტექნოლოგიური დეტერმინიზმის პერსპექტივით, რამეთუ, აღნიშნული თეორიის მიხედვით, ისეთი ტექნოლოგიური მიღწევები, როგორიც თუნდაც ხელოვნური

ინტელექტია, უკიდვანოდ დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ფორმირებაზე. ამასთან, ტექნოლოგიური დეტერმინიზმი ამტკიცებს, რომ AI-ის განვითარება და დანერგვა ხასიათდება გარდამტეხი გავლენით პოლიტიკურ და დემოკრატიულ პროცესებზე- სახელდობრ ადმინისტრაციული საქმიანობის, გადაწყვეტილების მიღების, პოლიტიკური კომუნიკაციებისა თუ კამპანიის პროცესებზე.

### **ხელოვნური ინტელექტის მახასიათებლები**

ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს იმ ალგორითმების ერთობლიობას, რომლებიც მონაცემების ანალიზის საფუძველზე ასრულებენ ამოცანებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და გადაჭრიან რთულ პრობლემებს. არსებობს ხელოვნური ინტელექტის ორი ტიპი: ზოგადი ხელოვნური ინტელექტი ( General AI ) და ვიწრო ხელოვნური ინტელექტი ( Narrow AI). 21-ე საუკუნის პროგრესი ტექნოლოგიებში მოიცავს “ვიწრო ხელოვნური ინტელექტის” განვითარებას, რომელსაც მხოლოდ ერთი დავალების შესრულება შეუძლია (Page, Bain, Mukhlis, 2018). მაგალითად, სურათის გენერირება, ობიექტების ამოცნობა, ტექსტის პარაფრაზირება და ა.შ. რაც შეეხება ზოგად ხელოვნურ ინტელექტს, ის გულისხმობს ტექნოლოგიას, რომელსაც ადამიანის ინტელექტის მსგავსად, შეუძლია ნებისმიერი განზოგადებული ტიპის ამოცანის შესრულება. General AI-ს განვითარება მოასწავებს ტექნოლოგიურ სინგულარობას ანუ მომენტს, როცა ხელოვნური ინტელექტი იქცევა ადამიანზე უფრო გონიერ სუპერინტელექტად (Kurzweil, 2005). ეს არის ფუტურისტული ხედვა, რამეთუ ზოგადი ხელოვნური ინტელექტის განვითარების ტემპები მიუთითებს იმაზე, რომ ტექნოლოგიური სინგულარობა ჯერ კიდევ შორსაა, შესაბამისად როდესაც ვახსენებთ ხელოვნურ ინტელექტს ვგულისხმობთ Narrow AI-ს, რომელიც ასრულებს წინასწარ განსაზღვრულ ფუნქციებს.

მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია ციფრული გამოსახულების შესაქმნელად, რომელსაც AI-ს მიერ გენერირებულ სურათს უწოდებენ. ეს ხდება ალგორითმის მეშვეობით, რომელიც სხვადასხვა გამოსახულებების ელემენტების გამოყენებით აგენერირებს სრულიად ახალ ფოტოს, რომლის შინაარსსაც განსაზღვრავს მისი შემქმნელი ხელოვნური ინტელექტისთვის გარკვეული პარამეტრების მითითებით. ამ ტიპის სურათების პოლიტიკურ პროცესებში გამოყენების მაგალითები უკვე არსებობს. მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა, დააყენა საკუთარი კანდიდატურა 2024 წლის არჩევნებზე, RNC-მა გამოაქვეყნა ვიდეორგოლი სახელწოდებით “Beat Biden”, რომელშიც ასახულია აშშ-ს მომავალი იმ შემთხვევაში, თუ 2024 წელს ჯო ბაიდენი ხელახლა იქნება არჩეული (Axios, 2023). ვიდეო სრულად არის შექმნილი ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული გამოსახულებებით, რომლებიც ასახავს 2024 წელს ჯო ბაიდენის ხელახლა გაპრეზიდენტების შემთხვევაში ფინანსური სისტემის კრიზისს, ჩინეთის შეჭრას ტაივანში, მიგრანტთა ნაკადის მომძლავრებას, კრიმინალის დონის ზრდას.

მსგავსი ტიპის მეთოდების გამოყენებით პოლიტიკურ პროცესებზე ზემოქმედება საქართველოშიც ცადეს. საგულისხმოა, რომ დავგენერირებული ფოტო და ვიდეო მანიპულაციების ძირითადი ნაწილი

პროპაგანდისტული შინაარსისაა, რომელთა მიზნადაც ევროატლანტიკური ინსტიტუციების დისკრედიტაცია და დასავლური ღირებულებების პროფანაცია უნდა მივიჩნიოთ, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით შესამჩნევი და, იმავდროულად, საგანგაშო (ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით) გახდა საქართველოს ღიად გაცხადებული და დეკლარირებული საგარეო პოლიტიკური კურსით გათვალისწინებული მიზნის - დასავლურ სტრუქტურებში სრულად ინტეგრაციის - მიღწევის გზაზე. 2023 წლის აპრილში სოციალურ ქსელში გავრცელდა MidJourney ხელოვნური ინტელექტით დაგენერირებული გამოსახულებები, რომლებიც ასახავს 2050 წელს საქართველოს, იმ შემთხვევაში თუ ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება. ფოტოები დისტოპიური მომავლის აღმწერია, ერთ-ერთ სურათზე ასევე ჩანს მართმადიდებლური ეკლესია, რომლის წინაც LGBTQ+ დროშებით ხელში ადამიანები რელიგიურ სიმბოლიკებს წვავენ (მითების დეტექტორი, 2023). საფრთხეების არსებობა უბიძგებს მთავრობებს მიიღონ კანონები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაზღუდად. 2023 წლის 14 ივლისს ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა ისტორიულ კანონპროექტს ხელოვნური ინტელექტის სისტემების გამოყენების რეგულირების შესახებ (European Parliament, 2023). ინოვაციური კანონპროექტი მიზნად ისახავს ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და ტექნოლოგიური სერვისებისადმი მათი ნდობის შენარჩუნებას. წესების აღსრულება ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოს დაევალება. კანონმდებლები იმედოვნებენ, რომ ხელოვნური ინტელექტის შემქნელები ტექნოლოგიას კონსტრუქციულ ჩარჩოებში მოაქცევენ, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა უსაფრთხოებას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პოლიტიკურ პროცესებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, აწმყო მიუთითებს, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენება სულ უფრო და უფრო აქტიური გახდება პოლიტიკურ ცხოვრებაში.

### **დანის სინთეტიკური პარტია**

2022 წელს დანიაში დაარსდა პოლიტიკური გაერთიანება სახელწოდებით “სინთეტიკური პარტია”, რომლის პოლიტიკაც გამომდინარეობს ხელოვნური ინტელექტიდან (Yahoo Finance, 2022) . პარტიის დამფუძნებელი, ასკერ ბრილდ სტაუნსი, განმარტავს, რომ სინთეტიკური პარტიის დაფუძნების მთავარი მიზეზი პოლიტიკურ პროცესებში ხელოვნური ინტელექტის პოტენციალის შესწავლა და პარტიული პოლიტიკის წარმოების ტრადიციულ პარადიგმებთან დაპირისპირებაა. მისი თქმით, პოლიტიკური გაერთიანება დაარსების დღიდან ვითარდება და ადაპტირდება ცვალებად პოლიტიკურ ლანდშაფტთან .

ყველა პარტიას გააჩნია ეთიკური იდეალების, პრინციპების, დოქტრინების გარკვეული ნაკრები, რასაც იდიოლოგიას უწოდებენ. სინთეტიკურ პარტიას არ გააჩნია მკაფიო იდიოლოგიური ნიშა. სტაუნსი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ პარტიის იდიოლოგია წარმოადგენს მემარცხენეობისა და მემარჯვენეობის სინთეზიტს, თუმცა ფართო პერსპექტივიდან დანახვის შემთხვევაში ცალსახაა, რომ სინთეტიკური პარტია იზიარებს ტექნოპოპულიზმის, რადიკალური დემოკრატიისა და ტრანსჰუმანიზმის იდეებს.



სინთეტიკური პარტია მიზნად ისახავს დანერგოს პოლიტიკური წარმომადგენლობის ახალი მიდგომები, გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად ჩართული ჯგუფების ხმების გასაჟღერებლად. კონკრეტულად, პარტიის მთავარი მიზანია, იზიარებდეს დანიელების 20% ღირებულებებს, რომლებიც არ მონაწილეობენ არჩევნებში.

ხელოვნური ინტელექტი პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობათა ფართო სპექტრს სთავაზობს. AI გამოყენებით შესაძლებელია მონაცემების იმგვარად დახარისხება და ანალიზი, რომ გამოვლინდეს ტენდენციები და პოტენციური პოლიტიკური შესაძლებლობები. ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შექმნილი მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები შეიძლება დაეხმაროს პოლიტიკურ ჯგუფებს მიიღონ გადაწყვეტილებები, გააუმჯობესონ კამპანიის სტრატეგიები და წინასწარ განსაზღვრონ შედეგები. ხელოვნური ინტელექტი ასევე შეიძლება დაეხმაროს პოლიტიკურ პარტიებს ამომრჩევლების იდენტიფიცირებაში და სეგმენტირებაში სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის დემოგრაფიის, ხმის მიცემის ქცევისა და ინტერესების მიხედვით. ეს საშუალებას მისცემს პოლიტიკურ პარტიებს შექმნან მიზანმიმართული სტრატეგიები. ასევე შეიძლება დაეხმაროს ამომრჩევლებთან ურთიერთობის პერსონალიზაციაში შეტყობინებებისა და კამპანიის მასალების მორგებით ამომრჩეველთა კონკრეტულ ჯგუფებზე მათი ინტერესების მიხედვით.

ასკერ ბრილდ სტაუნისი აღწერს მთლიან პროცესს თუ როგორ ხდება სინთეტიკურ პარტიაში პოლიტიკური გადაწყვეტილების გენერირება და შემდგომი იმპლემენტაცია. სინთეტიკური პარტიის ამომრჩევლებს შეუძლიათ AI-ს ესაუბრონ პლატფორმა Discord-ზე, რის შედეგადაც ხელოვნური ინტელექტი მოაგროვებს მონაცემებს, რომელიც მოიცავს დანიელების შეხედულებებს, იდეებს და პერსპექტივებს სხვადასხვა საკითხების შესახებ, შედეგად AI მიიღებს ისეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სრულად ეფუძნება ამომრჩევლების ინტერესებს. საერთო ჯამში, სინთეტიკური პარტიის შიგნით ხელოვნური ინტელექტის მუშაობის პროცესი გულისხმობს მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, შეხედულებებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების გენერირებას, ამომრჩევლების ჩართულობის უზრუნველყოფას ვირტუალური პლატფორმების მეშვეობით და ინკლუზიური პოლიტიკური დისკურსის ხელშეწყობას.

მთავარ კითხვას, თუ როგორ მოხდება ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული პოლიტიკური გადაწყვეტილების აღსრულება, ასკერ ბრილდ სტაუნისი პასუხობს “გადაწყვეტილების შესრულება, მას შემდეგ რაც ხელოვნური ინტელექტი მიიღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, მონიტორინგდება კონტროლისა და ბალანსის სისტემის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ადამიანების მიერ ზედამხედველობასა და შედეგების მუდმივ შეფასებას.” სტაუნისი პასუხზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების იმპლემენტაციის საკითხი ბუნდოვანია, ეს პროცესი მაინც სრულად იქნება დამოკიდებული პარტიის წევრების კეთილსინდისიერებაზე, რამდენად ზუსტად შეასრულებენ ხელოვნური ინტელექტის მიერ დასახულ პოლიტიკურ დავალებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პარტიულ პოლიტიკაში იძლევა შესაძლებლობათა ფართო სპექტრს, სტაუნსის თქმით, ის ასევე შეიცავს რისკებს, როგორცაა ალგორითმის მიერ გენერირებული მიკროძოვები, არაობიექტური გადაწყვეტილება, კონფიდენციალურობის საკითხი და მოსახლეობის გარკვეული სეგმენტების პოტენციური გამოთიშვა პროცესიდან. სტაუნსის აზრით, მსგავსი რისკები უნდა მოექცეს ყურადღების ქვეშ და დაბალანსდეს ეთიკური ჩარჩოებით.

ტექნოლოგიის საკითხთან დაკავშირდებით, სტაუნსი განმარტავს, რომ დანიელ ხალხში სინთეტიკური პარტიის გამოჩენამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ახალ პოლიტიკურ ჯგუფს ცნობისმოყვარეობითა და ენთუზიზმით შეხვდა, ხოლო მეორე ნაწილი სკეპტიციზმითა და სიფრთხილით. სინთეტიკური პარტია მიზნად ისახავს მონაწილეობა მიიღოს 2026 წლის დანიის საყოველთაო არჩევნებში. სინთეტიკური პარტიის არსებობა ასახავს ხელოვნური ინტელექტის მიმართ მზარდ მიზმიდველობასა და მთელ მსოფლიოში პოლიტიკური სუბიექტების მიერ ამ ტექნოლოგიის ათვისების პოტენციალს.

## დასკვნა

ხელოვნური ინტელექტის პროგრესი 21-ე საუკუნეში უპრეცედენტოა, ის ყველა სფეროს მოიცავს და პრაქტიკულად მის გარეშე წარმოუდგენელია ტექნოლოგიური სერვისების ეფექტური მუშაობა, რაც შეეხება პოლიტიკურ ცხოვრებას, რა თქმა უნდა, ხელოვნური ინტელექტის როლი ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაიზრდება. თუმცა აღნიშნული ტენდენცია დადებით შედეგებთან ერთად მოასწავებს მოულოდნელ, უარყოფით სოციალურ ცვლილებებს (Bontrager, 2018). ტექნოლოგია მოსაზრებას, რომ ხელოვნური ინტელექტის გაზრდილი როლი აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოებების სტრატეგიკაციას ეკონომიკურად, ასევე ცოდნისა და ძალაუფლების მიხედვით, ნამდვილად აქვს არსებობის უფლება, შესებამისად, გონივრულია ფიქრი ფართო შესაძლებლობების მქონდე ტექნოლოგიების რეგულირებაზე. მეორე მხრივ, ტექნოენთუზიზმითა არგუმენტიც მისაღებია, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება აუცილებელია კაცობრიობის უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად, თუმცა, რეალურად, განვითარების ამ ეტაპზე არსებულ ხელოვნურ ინტელექტს არ ძალუძს გამოუსწორებელი, უარყოფითი შედეგები მოიტანოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზემოხსენებული „სინთეტიკური პარტია“, მართალია თეორიულად ეფუძნება ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, თუმცა რეალურად მთლიანი პარტიული სისტემა მაინც ადამიანთა ნებას ემყარება, რამდენად ადასრულებენ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რასაც ხელოვნური ინტელექტი დააგენერირებს ამომრჩევლების ინტერესებზე დაყრდნობით. საფრთხეები და ფართო შესაძლებლობები არსებობს, ყოველივე ადამიანთა ნებაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწორად მოხდება შესაძლებლობების გამოყენება და საფრთხეების მინიმუმამდე დაყვანა.

## ბიბლიოგრაფია

- Bain, M., Mukhlis, F., Page, J. (2018) The Risks of Low Level Narrow Artificial Intelligence
- Bontrager, S (2018). Technology and Socioeconomic Stratification
- Brosnan, M. (1998). Technophobia: The Psychological Impact of Information Technology.
- Carley, K. (2020). Artificial Intelligence in Sociology.
- European Parliament. (2023). AI Act: a step closer to the first rules on Artificial Intelligence.
- Golley, J., Jaivin, L., Hillman, B., & Strange, S. (Eds.). (2020). China Dreams.
- Jones, S. (2006). Against Technology From the Luddites to Neo-Luddism.
- Hearing, A. (2022) A.I. chatbot is leading a Danish political party and setting its policies. *Yahoo Finance*.
- Howard, P. (2015). Pax Technica.
- Kurzweil, R. (2005). The Singularity Is Near: When Humans Transcend Biology.
- Landgon, W. (1977). Autonomous Technology: Technics-out-of-Control as a Theme in Political Thought.
- Manyika, J. (2022). Getting AI Right: Introductory Notes on AI & Society.
- Schwab, K. (2016). The Fourth Industrial Revolution: what it means, how to respond. Retrieved from: <https://www.weforum.org/agenda/2016/01/the-fourth-industrial-revolution-what-it-means-and-how-to-respond/>
- Shashkevich, A. (2019). Stanford Researcher Examines Earliest Concepts of Artificial Intelligence, Robots in Ancient Myths
- Swaine, M., Freiburger, P. (2023). ENIAC. Retrieved from: <https://www.britannica.com/technology/ENIAC>
- Thompson, A. (2023). First look: RNC slams Biden in AI-generated ad. *Axios*.
- Ünver, H. A. (2018). Artificial Intelligence, Authoritarianism and the Future of Political Systems.
- Yuval, H. (2015). Homo Deus.
- ტალახაძე, მ. (2023). მართლმადიდებლური ტაძარი უცხოეთში თუ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ფოტო? *მითების დეტექტორი*.